ჯონდი ხუხია
ისტორიის სადოქტორო პროგრამა, თსუ
jondi.khukhia@tsu.ge

როგორ ჩამოყალიბდა ესპანური ინკვიზიციის მმართველობის სისტემა?

საკვანძო სიტყვები: ესპანური ინკვიზიცია, ტომას ტორკვემადა, ერეტიკული მოძღვრება, ინოკენტი VIII, ინკვიზიციის უზენაესი საბჭო

Keywords: The Spanish inquisition, Thomas de Torquemada, Heresy, Innocent VIII, Supreme council of inquisition

ესპანეთი XVIII ს-ში არ იყო ერთიანი, ცენტრალიზებული სახელმწიფო. ამრიგად, მის საგამგებლო ტერიტორიებზე მოქმედებდა სხვადასხვა ტრიბუნალი და სასამართლო სისტემა, სადაც ზოგჯერ აბსოლუტური მონარქის ძალაუფლებაც არ ვრცელდებოდა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ესპანეთი სამფლობელოებს რამდენიმე კონტინენტზე ფლობდა, ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე დაფუძნებულმა ინკვიზიციამ ისტორიული კონტექსტისა და ერთმანეთისგან განსხვავებული საზოგადოებების გათვალისწინებით, სხვადასხვაგვარი ფორმა მიიღო.

პაპმა სიქსტუს IV-მ ინკვიზიცია ესპანეთში კათოლიკე მეფეების, ისაბელა კასტილიელისა და ფერნანდო არაგონელის მოთხოვნით დააარსა (Berasategui 2018: 5). არსებობს მოსაზრება, თითქოს ტორკვემადამ დედოფალ ისაბელას ფიცი დაადებინა, რომ როდესაც გვირგვინს დაიდგამდა, მთელ ცხოვრებას ერესის ამოძირკვასა და კათოლიციზმის დაცვას მიუძღვნიდა, თუმცა ეს მოგვიანებით გავრცელებულ ლეგენდას უფრო ჰგავს, რომელიც ხერონიმო სურიტას ანალებში მოხვდა (Zurita 2013: cap. XLIII). 1478 წლის 1 ნოემბერს პაპმა სიქსტუს IV-მ პრივილეგია მიანიჭა კასტილიის სამეფოს ინკვიზიციის მართვას (Cardini 1999: 13). რამდენიმე ინკვიზიტორს მიეცა მანდატი საინკვიზიციო საქმიანობის დასაწყებად. მათი მოქმედებები აქტიურ ფაზაში ცრუკონვერსების წინააღმდეგ მხოლოდ ორი წლის შემდეგ გადავიდა. ესპანური ინკვიზიციის ერთ-ერთი უჩვეულო მახასიათებელი, რაც მას სხვა ინკვიზიციებისგან განასხვავებს, თავიდანვე გამოვლინდა – კერძოდ, ჩვეულებრივ, შუა საუკუნეებში საინკვიზიციო ტრიბუნალი პაპს ემორჩილებოდა, მაგრამ, ესპანეთში, სიქსტუს IV-ის (1471-1484) ბულით „Exigit sinceras devotionis affectus“, ინკვიზიტორები პასუხისმგებელნი იყვნენ ეპისკოპოსთა წინაშე, ხოლო ეპისკოპოსების გადაწყვეტილება გადახედვას აღარ ექვემდებარებოდა. დაინახა რა ტრიბუნალებისთვის ამგვარი უფლებების მინიჭებით გამოწვეული შედეგები, პაპმა პროტესტი გამოხატა 1482 წლის 29 იანვრით დათარიღებულ წერილში, მას სურდა ფერნანდოსა და ისაბელასთვის მინიჭებული უფლებების ჩამორთმევა, მაგრამ უკვე გვიანი იყო

(Green 2014). ისაბელა კასტილიელი, ღვთისმოსაობის მიუხედავად, პაპობისგან სამეფოს ღირსებას ისევე მყარად იცავდა, როგორც ფერნანდო არაგონელი (Lea 1906: 10). კათოლიკე მონარქების ხელისუფლებას დაქვემდებარებული ინსტიტუტი სამეფოს ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ საყრდენად იქცა. 1482 წლის 18 აპრილით დათარიღებულ წერილში პაპი წერდა: „არაგონში, ვალენსიაში, მალიორკასა და კატალონიაში ინკვიზიცია მოქმედებს არა რწმენის ერთგულებითა და სულების ხსნისთვის, არამედ სიმდიდრის მიმართ ხორციელი ლტოლვით, ბევრი ჭეშმარიტი ქრისტიანი არალეგიტიმური მტკიცებით შეირაცხა ერეტიკოსად და გადაეცა საერო სასამართლოებს, ხოლო მათ [ერეტიკოსად შერაცხილებს – ჯ.ხ.] ჩამოეთვათ ქონება... რაც არის მავნებლობის მაგალითი...“ (Lea 1906: 587). ჰენრი ჩარლზ ლი ამასთან დაკავშირებით წერს, რომ ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე უჩვეულო ბულა ინკვიზიციის ისტორიაში. მართლაც, პაპის წერილის შინაარსი უჩვეულოა და შესაძლოა, ამის მიზეზი ესპანურ ინკვიზიციაზე გავლენის მოპოვების სურვილი ყოფილიყო, რაც ესპანელ მონარქებს ნაკლებად ენდომებოდათ. ფერნანდომ პაპის ბულით თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, მან წერილის ავთენტურობაც კი ეჭვქვეშ დააყენა (Kamen 2014: 69). 1482 წლის 13 მაისით დათარიღებულ წერილში პაპს მისწერა: „წმინდა მამაო, რაც მოვისმინე, თუ სიმართლეა, ჩემს გაოცებას იწვევს. როგორც ნათქვამია, თქვენმა უწმინდესობამ კონვერსებს უბოძა წყალობა ყველა დანაშაულისა და შეცდომისთვის, რაც ჩაუდენიათ... თუმცა, ამ ჭორებისთვის დიდი ყურადღება არ მიგვიქცევია, რადგან თქვენს უწმინდესობას ვალდებულება აქვს ინკვიზიციის წინაშე. თუკი, ხსენებული კონვერსების შესახებ რაიმე ჭორების გავრცელებისა და ქვეშქვეშობის გამო მიიღება მსგავსი გადაწყვეტილება, მე არასდროს მივცემ მათ ამის უფლებას... გვენდეთ, რათა ჩვენ მივხედოთ აღნიშნულ საკითხს“ (Lea 1906: 590). პაპმა ბულა ამავე წელს გააუქმა, ხოლო ესპანეთს თავისუფალი მოქმედების კიდევ უფრო ფართო არეალი მიეცა.

1483 წელს არაგონის ინკვიზიტორ-გენერლად ტომას ტორკვემადა დაინიშნა (Llorente 1826: 39). ტორკვემადას ინკვიზიტორობის პერიოდში (1483-1498) ესპანური ინკვიზიციის მმართველობის სისტემამ ჩამოყალიბებული ფორმა მიიღო. საწყის წლებში ტორკვემადამ ესპანელი მონარქების დაქვემდებარებაში არსებული ტერიტორია ინკვიზიციურ ოლქებად დაანაწილა. პირველ ეტაპზე ოთხი ტრიბუნალი დაარსდა: სევილიაში, კორდოვაში, ხაენსა და სიუდად რეალში (Llorente 1826: 39). ტორკვემადას იურისდიქცია ესპანურ სამეფოებში პაპმა ინოკენტი VIII-მ ოფიციალურად 1487 წელს ოფიციალურად აღიარა (Lea 1906: 5). მომდევნო წელს, კასტილიისა და არაგონის გაერთიანებულ სამეფოებში შეიქმნა „Consejo de la Suprema Inquisición“ („ინკვიზიციის უზენაესი საბჭო“), რომელსაც სათავეში ტომას ტორკვემადა ჩაუდგა (Anderson 2002: 65). ინკვიზიციის საბჭოს მიენიჭა ფართო უფლებამოსილება, ერთი მხრივ, სამოციქულო, ხოლო, მეორე მხრივ, სამეფო ხელისუფლების მიერ. პროფესორმა ესკუდერო ფიხომ ორი დოკუმენტის შესწავლის საფუძველზე დაადგინა, რომ ინკვიზიციური საბჭო სწორედ 1488 წელს დაარსდა, ვალიადოლიდში გამოქვეყნებულ ინსტრუქციებს ტორკვემადასთან ერთად ხელი მისმა სამმა მრჩეველმაც მოაწერა (Barba 2020: 193).

ესპანური ინკვიზიცია დაფუძნდა 21 მხარეში: 12 ტრიბუნალი კასტილიაში, 4 – არაგონში, 3 – ახლადაღმოჩენილ მიწებზე (ამერიკის ტერიტორიაზე) და ორიც ესპანეთის იტალიურ სამფლობელოებში (Rawling 2006: 26). რეგიონში ძირითადად ორი ან სამი ინკვიზიტორი იყო, რომელსაც აკონტროლებდა უმაღლესი საბჭო და გენერალური ინკვიზიცია (Rawling 2006: 28). რეგიონულთან ერთად, მომრავლდა რაიონული სასამართლოები, რამაც მკვეთრად გაზარდა პროცესების რაოდენობა და ინკვიზიციური საბჭოს საქმიანობა (Barba 2020: 194). ინკვიზიტორები განსწავლულნი იყვნენ თეოლოგიასა და სამართალში. არსებობდა სპეციალური ჯგუფი ადამიანებისა – ე.წ. „ფამილიარები“,[1] რომლებიც იცავდნენ ინკვიზიტორებს და აკავებდნენ ბრალდებულებს (Anderson 2002: 65). სანაცვლოდ იღებდნენ პრივილეგიებს, მსგავსი საქმიანობის შესრულება პატივად მიიჩნეოდა. ოლქის კომისრები ხშირად თავად უძღვებოდნენ ისეთ სამუშაოს, როგორიც იყო ბრალდებულების დაკავება, მოწმეების დაკითხვა, მტკიცებულებების შეგროვება და სხვ. (Rawling 2006: 28). ახალი ტრიბუნალების მომრავლებამ საგრძნობლად გაზარდა ინკვიზიტორთა რაოდენობა. ყოველივე ამის გაკონტროლება იმდენად გართულდა, რომ დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ესპანეთის მეფის თანხმობის გარეშე რამდენიმე ადამიანმა თავი ინკვიზიტორად გამოაცხადა (Lea 1906: 324). თეორიულად აბსოლუტური მონარქიის პირობებში, ამ მოცემულობამ ბიუროკრატიულ სივრცეში ავტოკრატიის ნიშნები შეიტანა. აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრა ინკვიზიციის უმაღლესი საბჭოს პრეროგატივა იყო, რომლის გავლენა იქიდანაც ჩანს, რომ მეფის მიერ ტრიბუნალებისთვის გაგზავნილ წერილს ხშირ შემთხვევაში უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლის ხელმოწერაც ახლდა. ტორკვემადას განსაკუთრებული სიმკაცრის ერთ-ერთი მიზეზი, ჩვენი აზრით, სწორედ ეს იყო. საეკლესიო პირები არ ერიდებოდნენ პირდაპირ თავდასხმებს ტორკვემადაზე, ცდილობდნენ მის დისკრედიტაციას. ებრაელთა განდევნის პარალელურად, კონვერსების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა, რამაც ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ტორკვემადას ძალების შემცირებაში. ამას ემატებოდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულება, რის შემდეგაც ტორკვემადა 1493 წელს ავილას მონასტერში დაბრუნდა. მომდევნო წელს კათოლიკე მონარქების თხოვნით პაპმა ალექსანდრე VI-მ გენერალური ინკვიზიტორების უფლება-მოვალეობებით ფრანჩისკო სანჩეზ ლა ფუენტე, მარტინ პონსე, ინიგო მანრიკე ლარა და ალფონსო სუარესი აღჭურვა, თუმცა ტორკვემადასთვის უფლებამოსილება არ ჩამოურთმევია, იგი სიცოცხლის ბოლომდე გენერალ-ინკვიზიტორი იყო (Barba 2020: 192). ინკვიზიციის დამოუკიდებლობის ზრდა და რამდენიმე მიმართულებით დაყოფა ფინანსურ ფაქტორთანაც იყო დაკავშირებული. მიუხედავად ამგვარი გამოწვევებისა, ფერნანდოსა და ისაბელას დროს ესპანეთის სამეფო კარი თითქმის სრულად აკონტროლებდა ხარჯების საკითხს. მომდევნო ხანებშიც, ესპანეთის მონარქები ენერგიულად ცდილობდნენ კონფისკაციის შედეგად ჩამორთმეული ქონების გაკონტროლებას, თუმცა სამეფო ხელისუფლების გავლენა ინკვიზიციის გზით მიღებულ შემოსავალზე თანდათანობით ნომინალური გახდა (Lea 1906: 327).

[1] ე.წ. ინკვიზიციის „ჯაშუშები“ ქალაქებსა და სოფლებში.

ესპანეთში, ევროპის სხვა ქვეყნების მსგავსად, ინკვიზიცია მიმართული იყო ერეტიკოსებისკენ. მიუხედავად ამისა, ერეტიკოსების რაოდენობის შემცირება ტრიბუნალების ზრდის უკუპროპორციული იყო. ესპანური ინკვიზიცია თვისებრივად განსხვავდებოდა სხვა ინკვიზიციებისგან, რადგან მის სამიზნეს ძირითადად მოქცეული ებრაელები (მარანები) და მოქცეული მუსლიმები (მორისკები) წარმოადგენდნენ, მაგრამ საინკვიზიციო პროცესის მიმდინარეობაში გარკვეული მსგავსებები ვლინდება. მაგალითად, მოქმედებდა იგივე რეგულაციები, რაც XIII საუკუნის ლანგედოკში (Kamen 2014: 199).

ესპანეთში ინკვიზიციის დამკვიდრების დროიდან არაერთხელ გამოიცა ინსტრუქციები, რომლებიც განსაზღვრავდა პროცედურებისა და სასჯელის ფორმებს. ინსტრუქციები წარმოადგენდა ზოგად ნორმებს, რომლებიც არეგულირებდა უწყების იურისდიქციას, ორგანიზაციასა და საქმიანობას. 1484-1485 წლებში ტომას ტორკვემადამ ინკვიზიტორთათვის მოქმედების მეთოდები შეიმუშავა, რომელიც იქცა სახელმძღვანელო წიგნად ადგილობრივი ტრიბუნალებისთვის (Kamen 2014: 200). უნდა ითქვას, რომ ამ დროს ერთიანი სხეული, რასაც ინკვიზიციას ვუწოდებთ, ჯერ კიდევ ფორმალური იყო და მიემართებოდა ინკვიზიტორების საქმიანობას – გამოძიებას. მიღებული ინსტრუქციები ყველა ესპანურ სამეფოზე არ ვრცელდებოდა, თუ არ ჩავთვლით სევილიას, კორდობას და კასტილიის სამხრეთით მდებარე ქალაქებს (Kamen 2014: 203). მომდევნო ხანებში[2] კიდევ ერთხელ გამოვიდა ინსტრუქციები, შევსებული და გაერთიანებული სახით, სადაც მოცემული იყო, თუ რა ზომები მიეღოთ ერეტიკოსთა წინააღმდეგ (Barba 2020: 201-204). ამასთან ერთად, გაიზარდა გამოქვეყნებული ინსტრუქციების მოქმედების არეალი. თითოეულ ტრიბუნალს უნდა ჰყოლოდა ორი ინკვიზიტორი – თეოლოგი და იურისტი (კანონიკურ სამართალში განსწავლული – ჯ.ხ.) ან ორი იურისტი. ინკვიზიტორებს ჰყავდათ თანაშემწეები –ბრალმდებელი (პროკურორი) (fiscal); თეოლოგები, რომლებიც ერესის სიმძიმეს ადგენდნენ (ficadores); ფინანსების განმკარგავი (recepto); ზედამხედველი, დარაჯი, რომელიც პატიმრებს მეთვალყურეობდა (alcaide); საიდუმლო ნოტარიუსი, რომელიც იბარებდა და იწერდა აღსარებას (notario del secreto); ნოტარიუსი, რომელიც აღრიცხავდა ქონებას (notario del secuestro); მთავარი მდივანი, რომელიც არეგისტრირებდა საჩივრებსა და ედიქტებს (Homza 2006: XXII). აღსანიშნავია, რომ საპატიმროებში ექიმებიც ჰყავდათ. ამის მიზეზი, პირველ რიგში, შუა საუკუნეებში არსებული ანტისანიტარული ნორმები იყო. სხვა მხრივ, ექიმის მოვალეობებში შედიოდა პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება. ფსიქიკური აშლილობის შემთხვევები პატიმრებში ხშირად ფიქსირდებოდა, ვინაიდან შეურაცხადობა ბრალდებულისთვის წარმოადგენდა გზას, რომ ჩადენილ დანაშაულთა პასუხისმგებლობა თავიდან აეცილებინა. ცხადია, ეს პატიმრებმაც კარგად იცოდნენ. მათი შემოწმება და სიმართლის დადგენა ექიმზე იყო დამოკიდებული, ამიტომ ექიმი აუცილებლად სანდო უნდა ყოფილიყო ინკვიზიციისთვის და კეთილსინდისიერად ემოქმედა. ექიმი ვალდებული იყო, სხვა წევრების მსგავსად, ფიცი დაედო (Lea 1906: 248).

[2] 1488 წელს ვალიადოლიდში, 1498 წელს ავილაში.

როდესაც ინკვიზიტორი რომელიმე ქალაქსა თუ სოფელში მივიდოდა, კვირა დღეს, ლიტურგიის შემდეგ კითხულობდა „რწმენის აქტს“, ქადაგების ბოლოს, ყველა ვალდებული იყო წმინდა ინკვიზიციისადმი ერთგულების ფიცი დაედო (Rawling 2006: 30). აღნიშნული პრაქტიკა ფართოდ გავრცელდა. მისი მიზანი იმ მცდარი ერეტიკული მოძღვრებებისა და დანაშაულებათა მიტევება იყო, რომელიც კათოლიკე ეკლესიის სწავლებას ეწინააღმდეგებოდა (Haliczer 1990: 60).

ერესში ბრალდებულთა გამოვლენა მეტწილად ადგილობრივი კომუნების დისპუტებზე იყო დამოკიდებული. ყოველთვის ვერ ხერხდებოდა ინკვიზიტორის ჩასვლა მტკიცებულებების მოსაპოვებლად და გამოძიების ჩასატარებლად, ამიტომ სრულიად უდანაშაულო ადამიანის დაბეზღების საფრთხეც არსებობდა, ასეთ დროს ერთადერთი გამოსავალი დანაშაულის აღიარება და მონანიება იყო (Kamen 2014: 177). გავრცელებული პრაქტიკა იყო დროის მიცემა 30-დან 40 დღემდე მონანიებისთვის ყოველგვარი სასჯელის გარეშე (Rawling 2006: 31). მიუხედავად განსაზღვრული ვადისა, იყო შემთხვევები, როდესაც პროცესი ჭიანურდებოდა და წლების განმავლობაში გრძელდებოდა. ინკვიზიციისა და საერო სასამართლოებს შორის კონფლიქტებიც ხდებოდა, უთანხმოებას იწვევდა ფამილიარების მიერ დანაშაულის ჩადენა (Anderson 2002: 66).

ბრალის წარდგენის შემდეგ, ინკვიზიტორი იწვევდა მრჩევლებს, რომლებსაც უნდა განეხილათ გამოსაძიებელი საქმე. განხილვის შემდეგ დგინდებოდა ერესის რომელ კატეგორიას განეკუთვნებოდა დანაშაული (Rawling 2006: 31). ერესში მხილებამდე მოწმეს ფიცი უნდა დაედო (Homza 2006: XXIII). საჭირო იყო მინიმუმ სამი მოწმის ჩვენება (Rawling 2006: 32). არსებობის შემთხვევაში სხვა მოწმეებსაც კითხავდნენ. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ამის შემდეგ იღებდნენ გადაწყვეტილებას – ბრალდებული მაშინვე უნდა დაეპატიმრებინათ, თუ არა. თუკი არსებობდა საკმარისი მტკიცებულება, გაიცემოდა დაკავების ბრძანება და იწყებოდა ბრალდებულის ქონების კონფისკაცია (Kamen 2014: 247). დაკავების შემდეგ ერესში ბრალდებულს განაჩენის გამოცხადებამდე ათავსებდნენ სპეციალურ საიდუმლო ციხეებში. საკანში განთავსების შემდეგ, სამი ინკვიზიტორი ცალ-ცალკე ხვდებოდა ბრალდებულს, აცნობდა დაკავების მიზეზს და იღებდა ჩვენებას (Homza 2006: XXIV). სამოქალაქო (საერო) და საეკლესიო ციხეებისგან განსხვავებით, ერესში ბრალდებულთა ციხეებში კარგი მდგომარეობა იყო. უფრო მეტიც, ზოგიერთ საეკლესიო ციხეში მყოფი პატიმარი თავს დამნაშავედ ცნობდა ისეთ დანაშაულში, რომ ინკვიზიციის დაქვემდებარების ქვეშ მყოფ ციხეში გადაეყვანათ (Rawling 2006: 31). პატიმარს, თუ ავად გახდებოდა, სურვილის შემთხვევაში, უფლება ჰქონდა ექიმის კონსულტაცია მიეღო, მარხვის შემთხვევაში, საკვების მენიუს შერჩევაც კი შეეძლო (Lea 1906: 248). ინკვიზიტორები ციხეებს წელიწადში რამდენჯერმე სტუმრობდნენ, რომ დაედგინათ, რამდენად იყო სტანდარტები დაცული. მოწმეებს ზოგჯერ ხელახლა იბარებდნენ დასაკითხად. ნოტარიუსი თითოეულ ჩვენებაზე აკეთებდა სტანდარტულ ჩანაწერს: „... წლის ... თვეს ... [პიროვნების ვინაობა – ჯ.ხ.] განაცხადა, რომ ... დროს და ... ადგილას ბრალდებულმა თქვა ... “. (Rawling 2006: 32). ნიშანდობლივია, რომ ანონიმურობა მოწმეებს უპირატესობას სძენდა, ამიტომაც იყო, რომ

ზოგჯერ მეზობლებს, მეგობრებსა და ოჯახის წევრებსაც კი ასმენდნენ. მეორე მხრივ, მოწმეთა ანონიმურობის გამო ბრალდებულმა არ იცოდა ვინ სდებდა ბრალს, რაც სასამართლოს წინაშე უდანაშაულობის დამტკიცებაში დაბრკოლებას უქმნიდა.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხია, თუ როგორ მუშაობდა საგამოძიებო სისტემა. არსებობდა კი რაიმე მექანიზმი, რომლითაც ერესში ეჭვმიტანილთა შესახებ მიღებული ინფორმაცია, მათი სანდოობა მოწმდებოდა?! როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, საინკვიზიო სასამართლოს გამჭვირვალობა დღესაც კი გაკვირვებას იწვევს. ჩვენ მიერ განსახილველ პერიოდთან დაკავშირებით, როდესაც სამიზნეს მარანები (გაქრისტიანებული ებრაელები) და მორისკები (გაქრისტიანებული მუსლიმები) წარმოადგენდნენ, შემორჩენილია უამრავი დოკუმენტი, რომელიც აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის საფუძველს გვაძლევს. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ინკვიზიტორთა მიერ მიღებული ინფორმაცია საეჭვოდ ჩათვლილა და არ გამხდარა გამოძიების დაწყების მიზეზი. დროდადრო, როგორც საორგანიზაციო საკითხებში, ისევე შიდა სტრუქტურებში, რიგი ცვლილებებისა ხორციელდებოდა, რაც, ბუნებრივია, ინკვიზიციის ორგანიზაციის სახეცვლილებას განაპირობებდა.

გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის ნუსხა:

- **Anderson 2002:** Anderson James M. Daily life during The Spanish Inquisition, London: Greenwood press, 2002;
- **Barba 2020:** Barba Jose Julio Martin, Documentacion institucional del Consejo de Inquisicion en tiempos de Torquemada, Documenta & Instrumenta, Ediciones Complutence, vol 18, 2020;
- **Berasategui 2015-2016:** Berasategui Esther Calvo, Las visiones de la Inquisición y la Monarquía Católica en la Edad. Moderna: política, propaganda y religión, Universidad de Cantabria, 2015-2016;
- **Cardini 1999**: Cardini Franco, L'inquisizione. Firenze, Giunti, 1999;
- **Green 2014:** Green David B. "Pope announces to scale back monarch's power in Spanish inquisition", https://www.haaretz.com/jewish/2014-01-29/ty-article/.premium/this-day-pope-pushes-to-reform-inquisition/0000017f-e118-d568-ad7f-f37b3bd60000 (დამოწმებულია: 01.02.2023);
- **Haliczer 1990:** Haliczed Stephen, Inquisition and Society in the kingdom of Valencia, 1478-1834. University of California Press, 1990;
- **Homza 2006:** Homza Lu A. The Spanish Inquisition, 1478-1614, An anthology of sources. Hackett publishing company, Inc, 2006;
- **Kamen 2014:** Kamen Henry, The Spanish Inquisition, A historical revision, fourth edition. London: Yale university press, 2014;
- **Lea 1906:** Lea Henry Charles, A history of The Inquisition of Spain, in four volumes, vol I. The Macmillan Company, London, 1906;
- **Lea 1906:** Lea Henry Charles, A history of The Inquisition of Spain, in four volumes, vol II. The Macmillan Company, London, 1906;

- **Llorente 1826:** Llorente Juan Antonio, The History of the Inquisition of Spain, from the time of its the establishment to the reign of Ferdinand VII, William Cloves, Stamford street, London, 1826;
- **Rawling 2006:** Rawling Helen, The Spanish Inquisition, Blackwell publishing, 2006;
- **Zurita 2013:** Zurita Jeronimo, Anales de Aragon, Preliminares y capitulos, 1-62, edition filologica de Javier Ordovas Esteban, Zaragoza, Cap. XLIII, 2013.

Jondi Khukhia
Ph.D. Program in History, TSU

HOW WAS THE SYSTEM OF SPANISH INQUISITION FORMED? (SUMMARY)

Spain wasn't united, centralized country until XVIII century. In the territories of the Spanish empire, there were various tribunals and court systems, where sometimes even the king's power wasn't distributed. Spain had domains around several continents. In different phases of history the inquisition got divergent forms.

The inquisition in Spain was established by the pope Sixtus IV due to the request of the Catholic Monarchs. Thomas de Torquemada was appointed as a General-inquisitor in 1483. During his governance the system of Spanish inquisition became finally formed. In the beginning there were four tribunals in Seville, Cordova, Jaen and Ciudad real. In the united kingdoms of Castille and Aragon was founded „Consejo de la Suprema Inquisición" in 1488. As other European countries as in Spain the inquisition was addressed against the heretics. Despite all of this, Spain inquisition had different features, which is shown in my topic.

In the article I have analyzed the instructions and procedures of Spanish inquisition in detail. I have also reconsidered the role of the inquisitors, prosecutors, theologians, notaries, lawyers and doctors. There are shown such important issues as the mechanism of investigative system, the cases of heretics and dispute of local communes, which is carefully and thoughtfully researched.